საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 415 2018 წლის 2 ნოემბერი ქ. თბილისი

ნ. გაგუასა და ნ. კერესელიძისთვის „საქართველოსა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდს შორის (მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა (DiMMA))“ დაფინანსების შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ნიკოლოზ გაგუასა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილეს ნოდარ კერესელიძეს მიენიჭოთ „საქართველოსა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდს შორის (მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა (DiMMA))“ დაფინანსების შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილება.

მამუკა ბახტაძე